ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **20181492**
თარიღი: **29/05/2018**

ადრესატი: მაია ხელაძე
პირადი ნომერი: 01019029981
მისამართი: თბილისი სადმელის ქ. N 14ა

განცხადების ნომერი: 0118135717-67
განცხადების თარიღი: 15/05/2018

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი

- საკადასტრო კოდი :01.10.08.006.128
- მისამართი :ქალაქი თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი III, კორპუსი 1, მიმდებარედ, ნაკვეთი 06/128
- ნაკვეთის დანიშნულება :არასასოფლო სამეურნეო
- მესაკუთრეები : ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეული

განმცხადებელი-დამკვეთი :მაია ხელაძე
პირადი ნომერი :01019029981
მისამართი :თბილისი სადმელის ქ. N 14ა

ნომენკლატურა :მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება სამსახურის პოზიცია მიწის ნაკვეთის შეძენის ან/და იჯარის შესახებ /

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი #0118135717-67 15.05.2018 წლის წერილი, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით პოზიციას დიდი დიღომი, 3 მ/რ, კორპუსი #1 მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკ. კოდით: 01.10.08.006.128) აუქციონის წესით შესყიდვის თაობაზე, შემდგომში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით.

პასუხად გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20–105 დადგენილებით დამტკიცდა დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა. რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დამცავ სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს. თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.10.08.006.128), დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის მიხედვით, ვრცელდება საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 1 (სსზ–1). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ “ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილების თანახმად საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 1 (სზ–2) წარმოადგენს საშუალო ინტენსივობის შერეულ საზოგადოებრივ-საქმიან ქვეზონას, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (მათ შორის გკ-ზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 1 (სსზ–1)–ში შესაძლებელია ამ წესების დანართი 1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული თითოეული სახეობის არსებობა არა უმეტეს შენობის საერთო ფართობის 60%-ის (იხ.დანართი).

ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია გასცეს დადებითი ქალაქგეგმარებითი დასკვნა მითითებული ტერიტორიის განკარგვის თაობაზე და ამასთან გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების კონკრეტული პირობების დასადგენად, საჭიროა ელექტრონული განცხადება ატვირთოთ არქიტექტურის სამსახურის ვებ.გვერდზე, http://tas.ge/–ზე, შესაბამის ნომენკლატურაში.

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

რუსუდან მირზიკაშვილი